



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

23 აგვისტო 2024



N 470/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. რუსთავში შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (საჩამომსხმელო საამქროს აირგამწმენდი სისტემის ეფექტურობის გაზრდა) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ჯეოსთილის“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. რუსთავში, დავით გარეჯის ქ. №36-ში მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (საჩამომსხმელო საამქროს აირგამწმენდი სისტემის ეფექტურობის გაზრდა) სკრინინგის განცხადება.

2023 წლის პირველ ივნისს ქ. რუსთავში შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №247/ს).

სკრინინგის განცხადების თანახმად, შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმო მდებარეობს ქ. რუსთავში, დავით გარეჯის ქ. №36-ში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 02.07.02.074; 02.07.04.042; 02.07.04.778; 02.07.04.779; 02.07.02.622). საწარმოს ტერიტორიას სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრება დავით გარეჯის ქუჩა და შპს „რუსთავის ფოლადის“ მეტალურგიული ქარხნის ტერიტორია, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით – შპს „ერთობა 98“-ის და შპს „მემანიშვილი და კომპანიას“ ტერიტორიები. საწარმოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს შპს „ჯორჯიან ელოის გრუპის“ ფეროშენადნობთა ქარხანა. ბაქო-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალი შპს „ჯეოსთილის“ ტერიტორიას ჰყოფს ნაწილად, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია საავტომობილო ხიდით. საწარმოს ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 246 მეტრით. საწარმოს ტერიტორია შემოღობილია დამცავი ღობით, ხოლო მისასვლელი გზები დაფარულია მყარი საფარით.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საწარმოს საქმიანობას წარმოადგენს მეტალის ჯართის დამუშავება და მისგან წელიწადში 300 000 ტონა არმატურის დამზადება, რისთვისაც მოწყობილია და ფუნქციონირებს შემდეგი საამქროები და დამხმარე ობიექტები: ჯართის უბანი, სადაც მიმდინარეობს ჯართის მიღება, რადიაციული კონტროლი, დროებითი დასაწყობება, დამუშავება და სადნობ საამქროში მიწოდება; ფოლად-სადნობი საამქრო, სადაც მიმდინარეობს კაზმის მომზადება, ფოლადის დნობა, უწყვეტი ჩამოსხმა, ნაშაადის დასაწყობება და საგლინავი საამქროში მიწოდება; საგლინავი საამქრო, სადაც ხორციელდება სადნობი საამქროდან მიწოდებული ნაშაადისაგან მზა პროდუქციის (სხვადასხვა ზომის არმატურა, ღეროვანი ლითონი) წარმოება; მექანიკური საამქრო; ჟანგბადის საამქრო; ელექტროქვესადგური; ტექნიკური წყლის მომზადების უბანი; დამხმარე მასალისა და მზა პროდუქციის საწყობები; ნამუშევარი ზეთების დასამუშავებელი უბანი; საოფისე შენობა; საერთო საცხოვრებელი და სამზარეულოები; მთავარი საწყობი. საწარმო მუშაობს წელიწადში 365 დღე, 24 საათიანი სამუშაო გრაფიკით, სამ ცვლაში.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, მეტალურგიული საწარმოს საჩამომსხმელო საამქროს აირგამწმენდი სისტემის მუშაობის ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, დაგეგმილია აირგამწმენდი სისტემის ოპტიმიზაცია, რაც უზრუნველყოფს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მტვრის კონცენტრაციის შემცირებას და არაორგანიზებული ემისიების მინიმიზაციას. კერძოდ, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, საჩამომსხმელო საამქროს აირგამწმენდი სისტემაში არსებული 560 000 მ³/სთ სიმძლავრის (1 250 კვტ) გამწოვი ვენტილატორის ნაცვლად, გათვალისწინებულია 900 000 მ³/სთ სიმძლავრის (2 240 კვტ) გამწოვი ვენტილატორის დამონტაჟება, რის შემდგომაც საჩამომსხმელო საამქროში დამონტაჟებული 70 000 მ³/სთ სიმძლავრის დამატებითი შემწოვი ვენტილატორის (ე.წ. „ბუსტერი“) გამოყენება საჭირო აღარ იქნება და იგი შეასრულებს რეზერვის ფუნქციას. ამასთან, აირმტვერდამჭერი სისტემის გამწოვი ვენტილატორის სიმძლავრის ზრდასთან ერთად, შეიცვლება სახელოებიანი ფილტრების გამტარუნარიანობაც, კერძოდ, ფილტრაციის ფართობი ნაცვლად 7 000 მ²-ისა, იქნება 17 000 მ², რისთვისაც მტვერდამჭერი ფილტრების არსებულ სექციებს დაემატება 16 ახალი სექცია. გარდა ამისა, მექანიკურ გამაგრილებელსა და ფილტრაციის სისტემას შორის არსებულ ნაპერწკალდამჭერს, რომელიც აქრობს წარმოქმნილ ნაპერწკლებს, დაემატება ერთი ნაპერწკალჩამქრობი, რის შემდგომაც, აირმტვერნარევის გატარება მიმდევრობით მოხდება ორ ნაპერწკალჩამქრობში. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია არსებული 3 400 მმ დიამეტრის და 30 მ სიმაღლის საკვამლე მილის შეცვლა 5 100 მმ დიამეტრის და 30 მ სიმაღლის საკვამლე მილით. დოკუმენტის მიხედვით, საწარმოში დაგეგმილი ცვლილებები არ ითვალისწინებს ტექნოლოგიური პროცესების ცვლილებას და წარმადობის გაზრდას. შესაბამისად, გამოყენებული ბუნებრივი რესურსების რაოდენობრივ ან სახეობრივ ცვლილებას ადგილი არ ექნება.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება არ იქნება დაკავშირებული მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებთან, ხოლო საპროექტო დანადგარ-მოწყობილობების დამონტაჟება მოხდება მოქმედი აირმტვერდამჭერი სისტემის ფარგლებში. საპროექტო მაღალი წარმადობის ვენტილატორი და ფილტრის სექციები დამონტაჟდება არსებული გამწოვი ვენტილატორის ადგილზე, ახალი საკვამლე მილი განთავსდება არსებული საკვამლე მილის ადგილზე, ხოლო დამატებითი ნაპერწკალჩამქრობი მოეწყობა არსებულის გვერდით. სამშენებლო სამუშაოები შესრულდება შპს „ჯეოსთილის“ საწარმოში დასაქმებული პერსონალის მიერ, საწარმოს კუთვნილი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებების გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები და აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. საწარმოში დაგეგმილი ცვლილებების განხორციელების შემდეგ 340 000 მ³/სთ-ით გაიზრდება საკვამლე მილიდან გაფრქვეული აირმტვერნარევის მოცულობები და ამდენითვე შემცირდება საჩამომსხმელო საამქროს არაორგანიზებული ემისიები. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მტვერდამჭერ ფილტრში 16 სექციის დამატებით და საფილტრაციო ფართობის 7 000 მ²-დან 17 000 მ²-მდე გაზრდით გაუმჯობესდება გაწმენდის ეფექტურობა, რის შედეგადაც ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ აირებში მტვრის შემცველობა ნაცვლად 120 მგ/ნმ³-ისა იქნება 75 მგ/ნმ³-ის ფარგლებში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს აირგამწმენდი სისტემის ექსპლუატაციის პირობების და გაწმენდის ეფექტურობის გაუმჯობესება, დადებითად აისახება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების შემცირების თვალსაზრისით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული მაღალი სიმძლავრის გამწოვი ვენტილატორი აღჭურვილი იქნება არსებულთან შედარებით მძლავრი ელექტროძრავით, რომლის მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონე შეადგენს 80 დბა-ს (არსებული ვენტილატორის ძრავის ხმაურის დონეა 75 დბა). თუმცა, ვინაიდან, საჭიროებას აღარ წარმოადგენს არსებული 70 000 მ³/სთ წარმადობის დამხმარე ბუსტერ-ვენტილატორის გამოყენება, რომლის ძრავის მუშაობისას ხმაურის გავრცელების დონე შეადგენს 70 დბა-ს, საჩამომსხმელო საამქროს აირგამწოვი სისტემა იმუშავებს მაღალი წარმადობის ერთი გამწოვი ვენტილატორით და შესაბამისად, ხმაურის დონის ცვლილება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო, საწარმოო და ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულებით. სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყალმომარაგება ხორციელდება ქ. რუსთავის წყალმომარაგების ქსელიდან, საწარმოო დანიშნულებით – გარდაბნის არხიდან, ხოლო სახანძრო წყლის რეზერვუარის ფუნქციას ასრულებს ნედლის წყლის სალექარი (რეზერვუარი), რომელიც მიმდინარე ტექნოლოგიური ციკლის გათვალისწინებით სისტემატურადაა შევსებული წყლით. ვინაიდან, საწარმოში დანერგილია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა, საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ აქვს, ხოლო სამეურნეო-ფეკალური წყლები ჩართულია ქ. რუსთავის ცენტრალურ საკანალიზაციო კოლექტორში.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საწარმოში დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ იქნება დაკავშირებული მოსალოდნელი ნარჩენების სახეობრივი და რაოდენობრივი შემადგენლობის მნიშვნელოვან ცვლილებებთან. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით დაახლოებით 1200 ტონით გაიზრდება მტვერდამჭერ ფილტრებში დაჭერილი მტვრის რაოდენობა, რომელიც ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის ნაცვლად დაჭერილი იქნება ფილტრებში და მათი მართვა მოხდება საწარმოს ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საწარმო არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდება ანთროპოგენური ზემოქმედებით დატვირთულ გარემოში, არსებული მეტალურგიული საწარმოს ტერიტორიაზე, სადაც ბუნებრივი ლანდშაფტი მკვეთრად სახეცვლილია.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სპეციფიკის, მასშტაბისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, აღნიშნული ცვლილებები არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. აირგამწმენდი სისტემის ეფექტურობის გაზრდა დადებითად აისახება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების შემცირების თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. რუსთავში შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ჯეოსთილი“ ვალდებულია, საქმიანობა განახორციელოს 2023 წლის პირველ ივნისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №247/ს) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით;
3. შპს „ჯეოსთილი“ ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე, უზრუნველყოს განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“ სააგენტოსთან შეთანხმება, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;

4. შპს „ჯეოსთილი“ ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე, უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ დაზუსტებული ინფორმაციის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა;
5. შპს „ჯეოსთილი“ ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე, „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 4 აგვისტოს №211 ბრძანების შესაბამისად, უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმება;
6. შპს „ჯეოსთილისთვის“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2023 წლის პირველ ივნისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №247/ს) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
7. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჯეოსთილს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
8. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯეოსთილის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
9. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/470-21-4-202408231630>

